

საქართველოს ორგანული კანონი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N2, 09.01.2006, მუხ. 12) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-20 მუხლის „დ,„ე,“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) მუნიციპალიტეტის გამგებელი და თვითმმართველი ქალაქის მერი, რომლებსაც ირჩევს საკრებულო სიითი შემადგენლობის უმრავლესობით; გამგებლის (მერის) პირველი მოადგილე და მოადგილე, რომლებსაც „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით თანამდებობებზე ნიშნავს და თანამდებობებიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი);

ე) გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, რომელსაც „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი);

ვ) გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული, რომელსაც „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).„

2. 39-ე მუხლის მე-4 პუნქტი „გ,“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით;

„გ) „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელებს, გამგეობის (მერიის) სხვა თანამშრომლებს;„

3. 41-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი). გამგებლის

(მერის) განთავისუფლება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის განთავისუფლების საფუძველია.,,

4. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. გამგეობის (მერიის) ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი – გამგეობის (მერიის) რწმუნებული (შემდგომში – რწმუნებული) არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის კოდექსით“ დადგენილი წესით, 1 წლის ვადით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს გამგებელი (მერი).,,

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.